18/01/2024

19 იანვარი ნათლისღებაა

მართლმადიდებელი ეკლესია 19 იანვარს, ნათლისღებას დღესასწაულობს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა ჩატარდება.

წირვის დასრულებამდე წყალკურთხევის წესი შესრულდება. მსახურების ბოლოს მორწმუნეებს ნაკურთხი წყლის სახლში წაღება შეეძლებათ.

საეკლესიო სწავლებით, ნაკურთხ წყალს უფლის მიერ კურთხეული მდინარე იორდანეს მადლი ენიჭება და უხრწნელ თვისებებს იძენს. მორწმუნეებს მისი მიღება უზმოზე შეუძლიათ, განსაკუთრებით – ავადმყოფობისა და განსაცდელების დროს.

ნათლისღების დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის ერთ-ერთია. სხვაგვარად ამ დღეს ღვთის გამოცხადების დღესასწაულს უწოდებენ, რადგან ყოვლადწმინდა სამება გაცხადდა. ასევე ნათლობა დაწესდა.
ყოველი წლის ამ დღეს მდინარე იორდანე აღმა იწყებს სვლას, როდესაც იერუსალიმის პატრიარქი მდინარეში ჯვარს სამჯერ ჩაუშვებს, როგორც ეს მოხდა უფლის მდინარეში ჩასვლის დროს.

წმიდა სახარების მიხედვით, წმინდა იოანე ნათლისმცემლის მიერ იესო ქრისტეს ნათლისღება მდინარე იორდანეში მოხდა. ამ დროს მასზე სულიწმინდა მტრედის სახით გადმოვიდა და თავზე დაადგა, ზეციდან კი ხმა გაისმა: “ეს არის ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნო ვიყავ”.

ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა

მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ”.
ნათლისღების წინა დღეს მორწმუნეები ერთდღიანი მარხვით აღნიშნავენ.

შესაბამისად, 18 იანვარს ნათლისღების დღესასწაულისთვის მომზადება ხდება.

როგორც ცნობილია, შობის დღესასწაულის შემდეგ, 17 იანვრის ჩათვლით პერიოდი, მორწმუნეთათვის ხსნილი იყო – ოთხშაბათსა და პარასკევს მათ არასამარხვო საკვების მიღება შეეძლოთ. შესაბამისად, ნათლისღების წინა დღე, 18 იანვარი, ქრისტეშობის დღესასწაულის შემდეგ, პირველი მარხვაა, რომელსაც მართლმადიდებლები იცავენ.

dogma.ge